

მშობლების ჩართულობა კითხვის აქტივობებში



ინტერნეტ-კვლევის ანგარიში

2014

ALL
CHILDREN
READING:
A GRAND CHALLENGE
FOR DEVELOPMENT



ორენოვანი წიგნიერების
განვითარება საქართველოს
არაქართულენოვან სკოლებში

Development of Bilingual Literacy in
Minority Schools of Georgia (DBL)




შესავალი

მშობლების ჩართულობას მოსწავლის კითხვით აქტივობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც კითხვის უნარების გაუმჯობესების თვალსაზრისით, არამედ ბავშვის მოტივაციის გაზრდისა და კითხვის პროცესის შეყვარებისათვის. არაერთი კვლევა ამტკიცებს, მშობელისა და ბავშვის სახლში კითხვას უფრო ძლიერი პოზიტიური ეფექტი გააჩნია მოსწავლის კითხვით უნარების გავნითარებისა და აკადემიური მიღწევების კუთხით. ვიდრე მშობლის აქტიურ ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა ინტერნეტ გამოკითხვა ჩაატარა, რათა დაედგინა, თუ რამდენად არიან მშობლები საკუთარ შვილებთან ერთად ჩართულები კითხვით აქტივობაში. უფრო კონკრეტულად კი, გვინტერესებდა, რამდენად აქტიურად გამოიყენება ვებ-გვერდი www.reading.ge მოსწავლეებისა და მშობლების მიერ სახლში. ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 263 მშობლემ, რომლებმაც უპასუხეს ელექტრონულ კითხვარში მოცემულ შეკითხვებს. გამოკითხვის პასუხები და ტენდენციები მოცემულია გამოკითხვის ანალიზში.


გამოკითხვაში ყველა რაიონიდან მიიღეს მშობლებმა მონაწილეობა და მათი გადანაწილება საკმარის დაბალანსებულია. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგების განზოგადება შესაძლებელია არა მხოლოდ რეგიონულ დონეზე, არამედ რაიონებისთვისაც.

ქვემოთ მოცემულია მშობლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით, რომელიც მოსწავლეების რაოდენობის შესატყვისია. (ქვემო ქართლში არაქართულ სკოლებში მეტი მოსწავლე სწავლობს, ვიდრე სამცხე-ჯავახეთში).




მშობლების გადანაწილების დიაგრამა რეგიონების მიხედვით

მშობლების გადანაწილება რაიონების მიხედვით მოცემულია ქვემო დიაგრამაში, სადაც კარგად ჩანს, რომ მშობლების ყველაზე ნაკლები რაოდენობა დმანისიდანაა წარმოდგენილი.




დიაგრამა: გამოკითხვაში მონაწილე მშობლების გადანაწილება რაიონების მიხედვით

ქვემოთ მოცემულია მონაცემები მშობლების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით არის მოცემული:




გამოკითხვაში მონაწილე მშობლების გადანაწილება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით

გამოკითხვაში მონაწილე მშობლებიდან ყველაზე მეტი პირველი კლასის მოსწავლის მშობელი აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი, მეექვსე კლასის მოსწავლის




გამოკითხვაში მონაწილე მშობლების გადანაწილება შვილების კლასების მიხედვით

ჩვენ ასევე საინტერესოდ ჩავთვალეთ გაგვეჩვენებინათ, დედა იღებდა გამოკითხვაში მონაწილეობას თუ მამა, ამიტომ კითხვარში ეს კითხვაც შევიდა. პასუხები კი, შემდეგნაირად გადანაწილდა:



კითხვაზე, რამდენად ახერხებთ საკუთარ შვილთან ერთად იკითხოთ, მშობლების 33 პროცენტმა

განაცხადა, რომ ცდილობენ, ხშირად იკითხოთ შვილთან ერთად, ხოლო 25 პროცენტზე მეტმა კი, განაცხადა, რომ პრაქტიკულად ყოველდღე უთმობს დროს საკუთარ შვილთან ერთად კითხვას.



შემდეგ კითხვა, რომელიც კითხვით მასალებს ეხებოდა, შემდეგნაირად ჟღერდა:

რას კითხულობთ ერთად ყველაზე მეტად?

ჩვენ გვინდოდა გაგვერკვია, რამდენად მშობლები მოსწავლეებთან ერთად არა მხოლოდ საშინაო დავალებად მიცემულ საკითხავს, არამედ კლასგარეშე მასალასად კითხულობდნენ.

სავარაუდო პასუხები კი, შემდეგი იყო:

ა. იმ ტექსტებს, რომელიც საშინაო დავალებად აქვს მოცემული


ბ. საშინაო დავალებას და იმ საკითხავს, რომელიც მას უყვარს

გ. საშინაო დავალებას კითხვად არ ვთვლი, კლასგარეშე საკითხავს ვკითხულობთ ერთად

დ. მხოლოდ მის საყვარელ და საინტერესო საკითხავ მასალას


ე. ხან რას, ხან რას. მთავარია, იკითხოს და კითხვის უნარები გაიუმჯობესოს

პასუხები ამ კითხვაზე ძალიან საინტერესოდ
გადანწილდა:



მშობლების ყველაზე დიდი ნაწილი საკითხავ ბავშვთან ერთად დავალეებსაც კითხულობს და ბავშვის საცვარელო საკითხავსაც. 26% კი, ხან რას, ხან რას. მხოლოდ კლასგარეშე მასალას მშობლების 15%-ზე ოდნავ მეტი თვლის სასარგებლო ერთობლივ საქმიანობად.

იმ მშობლებმა, რომლებიც აცხადებენ, რომ მხოლოდ საშინაო დავალების ტექსტებზე არ მუშაობენ საკუთარ შვილებთან, ასევე დააზუსტეს ის მასალები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ კითხვის პროცესში. პასუხები, შემდეგნაირად გადანაწილდა:



მშობლები აცხადებენ, რომ 22.4 % ხშირად კითხულობს დონეხად დაყოფილ პატარ-პატარა წიგნებს საკუთარ შვილებთან ერთად. ხოლო 26.2

პროცენტი კი, ინტერნეტში წიგნებს, რომლებიც ვებ
გვერდზეა განთავსებული.